

2011 წლის 7 ივნისი
ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”
აღმასრულებელი საბჭოს სხდომის
ოქმი

7 ივნისი, 2011

.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ №75

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი(თავმჯდომარე), იოსებ ბარათაშვილი, ზვიად კორძაძე, ცისმარ ონიანი, ქეთი ბექაური, ნოდარ ფეიქრიშვილი, იმედა დვალიძე.

დღის წესრიგი:

1. **ბ-ნ ზვიად კორძაძის** ინიციატივა განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის წევრის **ქ-ნ მანანა კობახიძის** ჩანაცვლება **ქ-ნ ეკა გასიტიშვილით**.
2. ჟურნალ **“ადვოკატის”**, სარედაქციო კოლეგიის წევრთა შემადგენლობის დამტკიცება.
3. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის კოორდინატორად **სალომე ონიანის** დამტკიცება. სახელფასო განაკვეთი 1000 ლარის ოდენობით.
4. ადვოკატთა ასოციაციისთვის ახალი საოფისე ფართის შეძენის შესახებ მსჯელობა და დამტკიცება.

5. სარევიზიო კომისიის მოთხოვნით სარევიზიო კომისიის კოორდინატორის შტატის დაშვება სახელფასო განაკვეთით 800 ლარის ოდენობით.
6. ასოციაციაში გაწვევრიანება .

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა :

1. განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიის წევრის ქ-ნი მანანა კობახიძის ნაცვლად , კომისიის წევრად მიღებულ იქნას ქ-ნი ეკა გასიტაშვილი;
2. ჟურნალ “ადეოკატის” სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა დამტკიცდეს სხდომაზე დასახელებული კანდიდატების სახით: **ზვიად კორძაძე, იოსებ ბარათაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, თეა წულუკიანი, პაატა ტურავა, ოთარ გამყრელიძე, მინდია უგრეხელიძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ინგა თოდრია და ირაკლი კორძახია.** ჟურნალის რედაქტორად დამტკიცდეს **ზვიად კორძაძე.**
3. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული განგრძობადი იურიდიული განათლების კომისიისა და სასწავლო ცენტრის კოორდინატორად დამტკიცდეს **სალომე ონიანი** (4 თვის ვადით) სახელფასო განაკვეთით- 1000 ლარის ოდენობით.; შვეიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის ბიუჯეტში.
4. აღმასრულებელი საბჭოს მიერ, საქართველოს ადეოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს –**ზაზა ხატიაშვილს** მიეცეს თანხმობა:

ა). ს.ს.ი.პ. **“საქართველოს ადეოკატთა ასოციაციის”** საკუთრებაში არსებული ფართი 124.00 კვ.მ., (მახასიათებლები: ზონა 01 სექტორი ვაკე კვარტალი, 11 ნაკვეთი 12/001, კოდი 01/501, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი ნაფარეულის № 18), რომელიც გაცვლაში მონაწილე მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე შეფასებულია 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტად ლარებში, გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე გაცვალის ილია რამიშვილის და ლელა მაისურაძის საკუთრებაში არსებულ ფართში (ფართის საერთო რაოდენობა შეადგენს 409.50 კვ.მ. მდებარე ქ.თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა № 34-36, **მახასიათებლები:** ლელა მაისურაძის საკუთრებაში მდებარე ფართი, მისამართი ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №36, ზონა თბილისი 01, სექტორი მთაწმინდა 15, კვარტალი 05, ნაკვეთი 12/001, კოდი 01/511 საკუთრებაში არსებული საერთო ფართი 161კვ.მ 44 კვ.მ, მათ შორის, ფართი 81,41 კვ.მ და მანსარდა 80.03. ილია რამიშვილის საკუთრებაში არსებული ფართი, მისამართი: ქ.თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 34-36, ზონა თბილისი 01, სექტორი მთაწმინდა 15, კვარტალი 05, ნაკვეთი 012/001, კოდი 03/502 საკუთრებაში არსებული ფართი 127,67კვ.მ, ილია რამიშვილის საკუთრებაში არსებული ფართი მდებარე მისამართი: ქ.თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №36, ზონა თბილისი 01, სექტორი მთაწმინდა 15, კვარტალი 05, ნაკვეთი 012/001, კოდი 1/509 საკუთრებაში არსებული საერთო ფართი 120.39 კვ.მ), რომელიც გაცვლის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა შეთანხმებით შეფასებულია 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტად ლარებში;

ბ). დაფაროს გაცვლის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯები, გადაიხადოს 6500 აშშ დოლარი ს.ს. **“საქართველოს საფოსტო ბანკი”-ის** სალიკვიდაციო ანგარიშზე ილია რამიშვილის მოვალის სასარგებლოდ, ქონების (მდებარე ქ.თბილისის ძმები ზუბალაშვილების № 34-36) ყადაღისგან განთავისუფლების მიზნით;

გ). ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეს, ილია რამიშვილს და ლელა მაისურაძეს მათ საკუთრებაში არსებულ ფართთან (მდებარე ქ.თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 34-36-ში, საერთო ფართი 409.50 კვ.მ) დამატებით გადაუხადოს 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;

დ). ერთ-ერთი კომერციული ბანკიდან აიღოს სესხი 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით ;

5. მეხუთე საკითხის განხილვა გადაიდოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე;

6. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი გირშელ მანაგაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის” თავმჯდომარე

ზვიად კორძაძე

იოსებ ბარათაშვილი

იმედა დვალიძე

ქეთევან ბექაური

ნოდარ ფეიქრიშვილი

ცისმარ ონიანი